

შპს „აკა“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

ნოემბერი 2020
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აკა“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აკა“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში არსებული გარემოებებისა სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების შეფასება მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით. კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაა 38 414 ათასი ლარი, ამათგან კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებული აქვს მხოლოდ სამი მიწის ნაკვეთი და 2 შენობა საერთო ღირებულებით 17 238 ათასი ლარი. ამ გარემოებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა კომპანიის ძირითადი საშუალებების ღირებულების განსასაზღვრად საკმარისი და უტყუარი მტკიცებულება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანიის ძირითადი შენობა შეფასების მომენტში იმყოფებოდა მშენებლობის სტადიაში და კომპანია გეგმავს მოახდინოს მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების გადაფასება მიმდინარე პერიოდში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ

აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ზვიად ახვლედიანი.

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ზვიად ახვლედიანი.

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო



შპს „აკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათას ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	38 414	37 096
არამატერიალური აქტივები		145	163
სულ გრძელვადიანი აქტივები		38 559	37 259
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	10 000	14 355
საგადასახადო აქტივები		-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	587	413
გადახდილი ავანსები	8	862	2 223
სხვა მიმდინარე აქტივები		81	81
ფული და ფულის ექვივალენტები	9	964	859
სულ მიმდინარე აქტივები		12 495	17 931
სულ აქტივები		51 054	55 190
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4 174	6 920
საგადასახადო ვალდებულებები		143	728
მოკლევადიანი სესხები	12	5 561	2 869
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები	11	5 380	4 634
საპროცენტო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი დივიდენდები		67	67
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15 326	15 218
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	11 684	12 462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11 684	12 462
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	794	794
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი	13	16 751	16 751
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	13	9 163	9 965
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)	13	(2 665)	-
სულ კაპიტალი		24 043	27 510
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		51 054	55 190

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათას ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	38 414	37 096
არამატერიალური აქტივები		145	163
სულ გრძელვადიანი აქტივები		38 559	37 259
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	10 000	14 355
საგადასახადო აქტივები		-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	587	413
გადახდილი ავანსები	8	862	2 223
სხვა მიმდინარე აქტივები		81	81
ფული და ფულის ექვივალენტები	9	964	859
სულ მიმდინარე აქტივები		12 495	17 931
სულ აქტივები		51 054	55 190
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4 174	6 920
საგადასახადო ვალდებულებები		143	728
მოკლევადიანი სესხები	12	5 561	2 869
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები	11	5 380	4 634
საპროცენტო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი დივიდენდები		67	67
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15 326	15 218
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	11 684	12 462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11 684	12 462
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	794	794
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი	13	16 751	16 751
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	13	9 163	9 965
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)	13	(2 665)	-
სულ კაპიტალი		24 043	27 510
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		51 054	55 190

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

6 ნოემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ათას ლარში

	შენ.	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	14	65 548	49 221
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	14	2 693	3 651
რეალიზებული საქონლის/მომსახურების			
თვითღირებულება	15	(60 352)	(47 284)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		7 889	5 588
საოპერაციო ხარჯები			
მიწოდების ხარჯები	16	(1 126)	(192)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3 540)	(1 532)
ადმინისტრაციული ხელფასები	16	(1 569)	(1 787)
სხვა საგადასახადო ხარჯები		-	(6)
სულ საოპერაციო მოგება		1 655	2 072
ფინანსური შემოსავლები		210	31
ფინანსური ხარჯები	16	(1 473)	(333)
არასაოპერაციო შემოსავლები		39	-
არასაოპერაციო ხარჯები		(327)	(18)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		103	1 752
მოგების გადასახადი		(178)	(61)
წმინდა მოგება		(75)	1 691
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17	(1 067)	(721)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	18	(1 522)	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(2 665)	969

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ათას ლარში


	შენ.	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	14	65 548	49 221
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	14	2 693	3 651
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	15	(60 352)	(47 284)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		7 889	5 588
საოპერაციო ხარჯები			
მიწოდების ხარჯები	16	(1 126)	(192)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3 540)	(1 532)
ადმინისტრაციული ხელფასები	16	(1 569)	(1 787)
სხვა საგადასახადო ხარჯები		-	(6)
სულ საოპერაციო მოგება		1 655	2 072
ფინანსური შემოსავლები		210	31
ფინანსური ხარჯები	16	(1 473)	(333)
არასაოპერაციო შემოსავლები		39	-
არასაოპერაციო ხარჯები		(327)	(18)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		103	1 752
მოგების გადასახადი		(178)	(61)
წმინდა მოგება		(75)	1 691
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17	(1 067)	(721)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	18	(1 522)	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(2 665)	969

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

შპს „აკა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	794	16 751	9 965	27 510
კაპიტალის კორექტირება	-	-	-	-
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	(2 665)	(2 665)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(803)	(803)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	794	16 751	6 497	24 043

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

შპს „აკა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათას ლარში


	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	794	16 751	9 965	27 510
კაპიტალის კორექტირება	-	-	-	-
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	(2 665)	(2 665)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(803)	(803)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	794	16 751	6 497	24 043

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი:



6 ნოემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი, 1000 ლარში

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	103	1 752
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1 580	419
მოგების გადასახადის ხარჯი	(178)	(61)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	(1 522)	-
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(1 067)	(721)
	(1 084)	1 388
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	4 355	(5 670)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	-	(36)
(ზრდა)/შემცირება მიმდინარე საგადასახადო აქტივებში	-	79
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(174)	(187)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	1 361	788
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2 746)	3 991
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(585)	728
(ზრდა)/შემცირება მიღებულ ავანსებში	746	1 984
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1 873	3 065
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების (შემოსვლა)/გასვლა	(2 878)	(15 805)
არამატერიალური აქტივის (შემოსვლა)/გასვლა	-	(69)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 878)	(15 874)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება მიღებულ სესხებში	1 913	11 626
გადახდილი დივიდენდი	(803)	(416)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	1 110	11 210
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	105	(1 599)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	859	2 458
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	964	859

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

6 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „აკა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი, 1000 ლარში


	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	103	1 752
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1 580	419
მოგების გადასახადის ხარჯი	(178)	(61)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	(1 522)	-
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(1 067)	(721)
	(1 084)	1 388
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	4 355	(5 670)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	-	(36)
(ზრდა)/შემცირება მიმდინარე საგადასახადო აქტივებში	-	79
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(174)	(187)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	1 361	788
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2 746)	3 991
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(585)	728
(ზრდა)/შემცირება მიღებულ ავანსებში	746	1 984
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1 873	3 065
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების (შემოსვლა)/გასვლა	(2 878)	(15 805)
არამატერიალური აქტივის (შემოსვლა)/გასვლა	-	(69)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 878)	(15 874)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება მიღებულ სესხებში	1 913	11 626
გადახდილი დივიდენდი	(803)	(416)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	1 110	11 210
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	105	(1 599)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	859	2 458
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	964	859

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი:



6 ნოემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი**კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს „აკა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1996 წლის 08 იანვარს და მდებარეობს საქართველოში.

„კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. N6. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5/4-311 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204875082.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

სალომე ასათიანი (3/5 01008006086)	27,00 %
მაკა ასათიანი (3/5 01008002500)	27,00 %
ლუიზა თავართქილაძე (3/5 01008000740)	46,00 %
საერთო ჯამში:	100%

„კომპანიის“, გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - გიორგი ტყეშუაშვილი (3/5 01024090974).

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საცალო ყიდვა- გაყიდვა ახალი და მეორადი ავტომობილებით და ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი დამფუძნებელი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომლის შენატანი ფულადი ფორმით არის განხორციელებული, შეადგენს 793,751 (შვიდასოთხმოცდაცამეტი ათას შვიდასორმოცდათერთმეტი) ლარს.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL		2.8677	2.6766
1 EUR/GEL		3.2095	3.0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდეგში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალ ფულად ნაკადებს მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვალდებუ და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყვანებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;

- სახეუა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვთა

ცვთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება შენობა-ნაგებობების, მანქანა - დანადგარების, ავეჯისა და ბიბლიოთეკის ფონდების და სხვა ინვენტარის ცვთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	8-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-8
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	8
არამატერიალური აქტივები	10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად, კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ჰყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებისაგან.

მნიშვნელოვანი სადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16, „იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში”
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 ციკლი
- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება						
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	15 441	18 773	1 366	2 144	34	37 758
შეძენები	517	1 684	202	631	600	3 634
გაყიდვები	-	-	(1)	-	-	(1)
ჩამორწერა/რეკლასიფიკაცია	-	(753)	-	-	-	(753)
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	15 958	19 703	1 567	2 775	634	40 637
ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	(253)	(102)	(282)	(25)	(662)
ცვეთა წლის განმავლობაში ძირ. საშუალებების გაყიდვისას	-	(936)	(158)	(443)	(25)	(1 562)
ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	(1 188)	(260)	(725)	(50)	(2 223)
საბალანსო ღირებულება						
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	15 441	18 520	1 264	1 862	9	37 096
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	15 958	18 515	1 307	2 050	584	38 414

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სასაქონლო მარაგები	8 515	12 565
ავტომობილები	1 298	1 758
სპეც ინსტრუმენტები საამქროსთვის	169	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	16	32
მარკეტი	3	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	10 000	14 355

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობის გასაყიდად გამიზნული მარაგები. ძირითადად ეს მარაგები წარმოადგენენ მარაგ-ნაწილებს, გასაყიდ ავტომობილებსა და საავტომობილო ზეთებს. მარაგების მნიშვნელოვან ნაწილს ასევე წარმოადგენს სპეციალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად.

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება FIFO მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო და სამართლიან ღირებულებების შორის სხვაობა არაა.

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	809	179
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	2	(5)
მოთხოვნები შსს მიმართ	-	240
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(225)	-
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	587	413

მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოთხოვნები საგარანტიო და სადაზღვეო კონტრაქტებზე გაწეული მომსახურებებიდან და ასევე სხვადასხვა გრძელვადიანი კონტრაქტების შესრულებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები

კომპანია აწარმოებს მოთხოვნების ხანდაზმულობის გამოთვლას და 2019 წლის 31 დეკემბერს საექვო მოთხოვნების რეზერვმა დაახლოებით 225 ათასი ლარი შეადგინა

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	862	2 223
სულ გადახდილი ავანსები	862	2 223

გადახდილი ავანსები წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორებთან და მომსახურეობის გამწევ პირებთან წინსწრებით გადარიცხულ ავანსებს.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	819	493
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	70	177
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	46	40
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	27	148
ნაღდი ფული სალაროში ევროებში	2	-
ხურდა ფული	1	1
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	964	859

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები	4 086	6 751
გადასახდელი ხელფასები	81	81
ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	7	87
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 174	6 920

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილი კრედიტორული ვალდებულებები წარმოადგენს. კომპანიის უდიდესი კრედიტორია Dimler Bents-ი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მიღებული ავანსები	5 380	4 634
სულ მიღებული ავანსები	5 380	4 634

მიღებული ავანსები ავტომობილების შეკვეთებისათვის კლიენტების მიერწინასწარ გადახდილ თანხებს წარმოადგენს. შეკვეთების უმრავლესობა 3-4 თვის განმავლობაში სრულდება, თუმცა გარკვეული კატეგორიის ავტომობილებზე შეკვეთის შესრულებამ შეიძლება მეტი დროც მოითხოვოს.

12. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მოკლევადიანი სესხები	3 883	2 869
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1 678	-
გრძელვადიანი სესხები	11 684	12 462
სულ სასესხო ვალდებულებები	17 245	15 331

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიას აქვს 3 სასესხო ვალდებულება, სამივე წარმოადგენს სს საქართველოს ბანკიდან მიღებულ სესხს უცხოურ ვალუტაში.

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალმა 2018 წლის 31 დეკემბერს 27 510 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც შედგებოდა - საწესდებო კაპიტალისგან 794 ათასი ლარი, სარეზერვო კაპიტალისგან 16 751 ათასი ლარი და აკუმულირებული მოგებისაგან 9 965 ათასი ლარი.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 2 665 ათასი ლარის ოდენობის ზარალი და გაცემული დივიდენდები შეადგენდა 803 ათას ლარს. იგივე პერიოდში, კაპიტალში სხვა ცვლილება არ მომხდარა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2019 წლის 31 დეკემბერს 24 043 ათასი ლარი შეადგინა.

14. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი ახალი ავტომობილების რეალიზაციიდან	54 805	40 747
შემოსავალი ნაწილების რეალიზაციიდან	8 222	5 392
შემოსავალი მომსახურებიდან	2 693	3 651
შემოსავალი მეორადი ავტომობილების რეალიზაციიდან	2 521	3 082
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	68 241	52 872

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს ავტომობილების რეალიზაცია წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ავტონაწილების რეალიზაცია. წინა წელთან შედარებით მეორადი ავტომობილების რეალიზაცია შემცირდა ხოლო ახალი ავტომობილების გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რაც შეეხება არასაოპერაციო შემოსავლებს მათ უდიდეს ნაწილს საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანია მომწოდებლისგან მიღებული ბონუსები.

15. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	2019 წელი	2018 წელი
გაყიდული / შეძენილი საქონელი	57 717	45 696
პირდაპირი ხელფასები	2 448	1 509
პირდაპირი ზედნადები ხარჯები	186	79
სულ რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	60 352	47 284

თვითღირებულების უდიდეს ნაწილს გაყიდული/შეძენილი საქონლის ღირებულება წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანია პერსონალის პირდაპირი ხელფასი.

16. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯები. 2019 წლის განმავლობაში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი რაც გამოწვეული იყო ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლით.

ძირითადი ხარჯები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	1 580	418
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	1 304	1 707
კომუნალური ხარჯები	969	367
სხვა განაცემები	265	80
ქონების გადასახადი	221	-
რემონტის ხარჯები	195	107
დაზღვევის ხარჯები	100	25
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	94	119
მივლინების ხარჯები	64	77
სოციალური დანარიცხები	63	-
საიჯარო ქირა	39	36
კომუნიკაციის ხარჯები	26	10
წარმომადგენლობითი ხარჯები	14	6
კომპიუტერის ხარჯები	10	10
საკანცელარიო ხარჯები	9	5
საწვავი	6	-
სალიცენზიო ხარჯები	-	258
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	149	93
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5 109	3 319

მიწოდების ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
პროპორციულად ჩაუთვლელი დღგ	740	-
რეკლამის ხარჯები	352	175
გადატვირთული პროდუქციის დაზღვევის ხარჯები	32	-
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	1	17
სულ მიწოდების ხარჯები	1 126	192

მიწოდების ხარჯების უდიდეს ნაწილს ჩაუთვლელი დღგ წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანია რეკლამის ხარჯები, რომელც 2019 წლის განმავლობაში გაიზარდა.

ფინანსური ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები	1 304	34
საბანკო და საკომისიო ხარჯები	169	149
ჯარიმები და საურავები	-	151
სულ ფინანსური ხარჯები	1 473	333

კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი რაოდენობის სასესხო ვალდებულებები, ამიტომ მისი ფინანსური ხარჯების უდიდეს ნაწილს საპროცენტო ხარჯები შეადგენს.

17. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად სავალუტო კურსის ცვლილება აისახება კომპანიის უწყისებში მოგების ან ზარალის სახით.

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2019 წელი	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	1 308	523
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(2 375)	(1 244)
სულ საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(1 067)	(721)

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი სრულად წარმოადგენს რეალიზებულ თანხას და მას არ აქვს არარეალიზებული ნაწილი.

18. განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები

განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	2019 წელი	2018 წელი
ძირითადი საშუალებების კორექტირება	337	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კორექტირება	117	-
ფული და ფულის ექვივალენტების კორექტირება	(4)	-
სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება	(1 971)	-
სულ განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	(1 522)	-

2019 წელს კომპანიამ მოახდინა საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების რეკალკულაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა წინა პერიოდებში დუბლირებული ტრანზაქციები. აღნიშნული სხვაობების აღმოსაფხვრელად მიმდინარე პერიოდში კომპანიამ დააფიქსირა შესაბამისი განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება.

19. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები**სამართალწარმოება**

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გაზდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გაზდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში

კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 4) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2019 წელი	2018 წელი
მენეჯმენტის ხელფასები	462	366
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	462	366

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების სახით. ასევე მიმდინარე პერიოდში კომპანიას უფიქსირდება საოპერაციო მოგება. ფინანსურ ნაჩვენები წმინდა ზარალი გამოწვეულია წინა პერიოდების კორექტირებებით, რაც არ გამოიწვევს კომპანიიდან ფულადი ნაკადების გასვლას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

კომპანია გეგმავს მოახდინოს მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების გადაფასება მიმდინარე პერიოდში მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით. ამ მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 6 ნოემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს „აკა“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობითი ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „აკა“-ს თანმხლები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „აკა“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს „რასელ ბედფორდ ეივისი“-მ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

ზვიად ახვლედიანი



შპს „რასელ ბედფორდ ეივისი“

6 ნოემბერი 2020 წელი



Mercedes-Benz

მმართველობითი ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „აკა“ (ს/კ 204 875 082) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. #6., „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5/4-311 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 875 082.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

შპს AKA დაარსდა 1993 წელს და ის წარმოადგენს გერმანული ავტომწარმოებელი კომპანია Daimler- ის გენერალურ დისტრიბუტორს საქართველოში.

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საცალო ახალი და მეორადი მსუბუქი ავტომობილების, მიკროავტობუსების, ავტობუსების და სატვირთო ავტომობილების ყიდვა-გაყიდვა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი დამფუძნებელი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომლის შენატანი ფულადი ფორმით არის განხორციელებული, შეადგენს 793,751 (შვიდასოთხმოცდაცამეტი ათას შვიდასორმოცდათერთმეტი) ლარს.

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიაში დაგეგმილი ახალი პროექტები ამ ეტაპზე არ არსებობს.

კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა გაყიდვების მაჩვენებლის ზრდა და ამისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება, გაყიდვების პერსონალის გაზრდა ახალი გაყიდვების კონსულტანტით და ახალი მომხმარებლების მოზიდვა, შესაბამისად ახალი ბაზრის ნიშების მოძიებისათვის და სეგმენტის გაფართოების თვალსაზრისით იგეგმება კორპორატიული გაყიდვების გასაუმჯობესება.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

ჩვენს პროდუქტებზე განსაკუთრებული მოთხოვნის არსებობის გამო კომპანიამ დაიწყო აქტიურობა მარკეტინგული კუთხით და იგეგმება ბაზრის კვლევის ჩატარება. კომპანია გეგმავს სწორად და სრულად გამოიყენოს მისი ძლიერი მხარეები და უპირატესობები ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში. კომპანია გეგმავს მეტი მარკეტინგული საქმიანობის ჩატარებას და მეტი კონტაქტის დამყარებას მომხმარებლებთან მათ შესასწავლად და მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი

რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკების, პროცესებისა და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.



რისკების მართვის სტრუქტურა:

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ექვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა). საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 964 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი:

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი:

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის - ევრო.

მგრძნობელობის ანალიზი:

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.



Mercedes-Benz

5. კომპანიის სესხები:

მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება, რომელიც კორექტირებულია Libor განაკვეთით, შემდეგია:

ფულადი ერთეული- ევრო

	დასრულების თარიღი	ვალუტა	31.12.2019	01.01.2019	შენიშვნა
სს საქართველოს ბანკი 5566292	6/13/2025	EUR	1,668,066	1,900,000	გრძელვადიანი
სს საქართველოს ბანკი 4294951	3/22/2024	EUR	2,446,391	2,893,636	გრძელვადიანი
სს საქართველოს ბანკი 6117023		EUR	1,210,000	-	მოკლევადიანი
სს საქართველოს ბანკი 5566314		EUR	-	200,000	მოკლევადიანი
სულ სასესხო ვალდებულება			5,324,457	4,993,636	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ შენობა-ნაგებობით. მიღებულ სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია არაუმეტეს 8 %-სა. მიღებული სესხი მოხმარდა კომპანიის შენობა-ნაგებობას, რომელსაც კომპანია აშენებს საკუთარი სახსრებით და შესაბამისად მოხდა პროცენტის კაპიტალიზება.

6. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „აკა“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 06/11/2020 წ.

დირექტორი:

